

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
პროექტმშენკომპანის
ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს პროექტმენეჯმენტის ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2017	31.12.2018
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	3	770 812	1 511 188
მოთხოვნები მიწოდებიდან	4	280 764	334 695
გადახდილი ავანსები	4	1 030	186
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	5	1 847	3 013
გადახდილი გადასახადები	16	-	37 729
სხვა აქტივები	4	40 424	812
ჯამურად მიმდინარე აქტივები		1 094 877	1 892 623
მიწა	6	91 646	91 646
საინვესტიციო ქონება	6	-	-
ძირითადი საშუალებები	6	181 059	186 048
არამატერიალური აქტივები	7	582	16 214
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		273 287	293 908
სულ აქტივები		1 368 164	2 186 531
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	8	3 154	3 342
მიღებული ავანსები	8	94 700	-
გადასახდელი ხელფასები		-	-
მოკლევადიანი სესხები	9	-	-
გადასახდელი გადასახადები	16	20 202	-
სხვა ვალდებულებები		-	-
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		118 056	3 342
გრძელვადიან ისესხები	10	-	-
ჯამურად გრძელვადიანი სესხები		-	-
სულ ვალდებულებები		118 056	3 342
კაპიტალი			
საწესდებოკ აპიტალი	11	12 283	12 283
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი		873 887	1 322 281
გაუნაწილებელი მოგება		374 221	858 908
სულ კაპიტალი		1 250 108	2 183 189
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1 368 164	2 186 531
დირექტორი		მთავარიბუღალტერი	

20სექტემბერი, 2019

20სექტემბერი, 2019

შპს პროექტმშენკომპანის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

12 თვე, 2018	
შემოსავალი რეალიზაციიდან	2 662 802
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	669 833
მთლიანი მოგება	1 992 969
	-
საოპერაციო ხარჯები	93 327
ხელფასის ხარჯი	457 655
ცვეთის ხარჯი	54 962
დებიტორული დავალიანების რეზერვი	-
სულ საოპერაციო ხარჯები	605 944
	-
არასაოპერაციო შემოსავალი	692
არასაოპერაციო ზარალი	0
საპროცენტო ხარჯი	723
მოგება-ზარალი საკუროსო სხვაობიდან	4 798
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	1 391 792
	-
მოგება დაბერგვამდე	1 391 792
	-
მოგების გადასახადი	69 511
	-
წმინდა მოგება	1 322 281
სხვა სრული შემოსავალი	-
	-
სულ შემოსავალი	1 322 281

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

20 სექტემბერი, 2019

20 სექტემბერი, 2019

ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ

შპს პროექტმშენკომპანის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
			-
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის	12 283	1 237 825	1 250 108
პერიოდის მოგება		1 322 281	1 322 281
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	-		-
დივიდენდის განაწილება		(389 200)	(389 200)
			-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის	12 283	2 170 906	2 183 189

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

20 სექტემბერი, 2019

20 სექტემბერი, 2019

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „პროექტმშენკომპანი“ წარმოადგენს საქართველოში რეგისტრირებულ სამეწარმეო იურიდიულ პირს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2002 წლის 27 თებერვლიდან, მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, იყალთოს გორა N 44ა. ფაქტიური მისამართი კი -ქ. თბილისი, იყალთოს გორა N 44ა. მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი: 204979103.

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელი არის რაგულ რაზმაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საავტომობილო გზების საკვლევ-სადიებო, საპროექტო სამუშაოების შესრულება.

2018 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებული იყო 27 და 29 თანამშრომელი შესაბამისად

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ეს ფინანსური ანგარიშგება კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ, რაც თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილი წლისათვის, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.1 მომზადების საფუძვლები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“). წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რაც მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისაგან. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

2.2 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ტრანზაქციები

მუხლები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში - ლარში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კონვერტირდება ლარში პერიოდის ბოლო დღეს არსებული ოფიციალური კურსით (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების ლარში კონვერტაციის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

2017 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის მიხედვით 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2,5922 ლარს, 1 ევრო შეადგენდა 3.1044 ლარს, ხოლო 2018 წლის 31 დეკემბერს 1 აშშ დოლარი შეადგენდა 2,6766 ლარს, 1 ევრო კი 3.0701 ლარს.

2.3 ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ფულს საბანკო ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალი ლიკვიდობის ინვესტიციებს რომელთა გადახდის ვადა სამ თვეზე ნაკლებია.

შპს პროექტმშენკომპანის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა 3 -ფული და ფულადი ექვივალენტები

	31.12.2017	31.12.2018
ლარი საბანკო ანგარიშებზე	661047	1060859
დეპოზიტი	0	300000
საბანკო გარანტია ხელშეკრულებაზე	0	68750
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	105443	79841
სულ	766490	1509450
ნაღდი ფული სალაროში	4322	6738
ჯამურად ნაღდი ფული სალაროში	4322	6738
სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	770812	1516188

2.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. ყოველი პერიოდის ბოლოს მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება იმის დასადგენად არის თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება მოთხოვნის თანხების ვერ დაფარვისა. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს მაშინ გაუფასურების ზარალი მაშინვე აღიარდება მოგება ზარალში.

შენიშვნა 4 - მოთხოვნები მიწოდებიდან და სხვა მოთხოვნები

შპს პროექტმშენკომპანის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	31.12.2017	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	280764	334695
გადახდილი ავანსები	1030	186
სხვა მოთხოვნა (საკონკურსო გარანტია და სხვა)	40424	812
სულ დებიტორული დავალიანება	322218	335693

2.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და გაყიდვის ფასის შემცირებული რეალიზაციის ხარჯებით შეფასებით ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულების შეფასების მეთოდია საშუალო შეწონილი მეთოდი. ყოველი პერიოდის ბოლოს სასაქონლო მარაგები მოწმდება გაუფასურებაზე. იმ შემთხვევაში თუ გაუფასურების მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება ზარალში.

შენიშვნა 5 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31.12.2017	31.12.2018
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1847	3013
სულ წედლეული და მასალები	1847	3013

2.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიული ღირებულება შემცირებული ცვეთით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების იმ ადგილამდე და იმ მდგომარეობამდე მიყვანისთვის, რაც აუცილებელია აქტივების მენეჯმენტის მიერ სასურველი ოპერირებისათვის.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ცვეთად ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო გამოყენების ვადებზე განაწილებით: შენობებისთვის 20 წელი, სატრანსპორტო საშუალებები 7 წელი, გამზომ-მარეგულირებელი სპეც

შპს პროექტმენეჯმენტის ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ინსტრუმენტები 7 წელი, იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 7 წელი,
 დანარჩენი ძირითადი საშუალებებისათვის 5 წელი

შენიშვნა 6 - საინვესტიციო ქონება და ძირითადი საშუალებები

	საი ვეს ტი ცი ოქ ონ ება	მიწა	სპეცია ლური ინსტრუ მენტები	კავშირგაბ მულობის საშუალებ ები	ავეჯი და ინვენტ არი	ოფისის აღჭურ- ვა და კომპიუ ტერულ ი ტექ	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	იჯარით აღებულ ი ქონების კეთილმო წყობა	სხვა ძირითა დი საშუალებ ები
საწყისი ღირებულება									
ბალანსი 31/12/2017		91646	122763	13860	16541	91919	200048	2530	3729
აკუმულირებულ ი ცვეთა		-	(75023)	(7111)	(14251)	(64500)	(104354)	2530	(3014)
ბალანსი 31/12/2017		91646	47940	6749	2290	27419	95694	0	715
დანამატები		-	28804	0	525	16478	34068	0	3434
აქტივების ჩამოწერა/რეალი ზება		-		-			(36087)	-	
ცვეთა პერიოდისათვის		-	(17703)	(1687)	(973)	(12018)	(19961)	0	(0)

შპს პროექტმენეჯმენტის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ჩამოწერილი/რეალიზებული აქტივების ცვლადი				-	-		10370	-	
ბალანსი 31/12/2018		91646	59041	5062	1842	31879	84085	0	4149
ბალანსი 31/12/2017		91646	47940	6749	2290	27419	95694	0	715
ბალანსი 31/12/2018		91646	59041	5062	1842	31879	84085	0	4149

2.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აღირიცხება ისტორიული ღირებულების თანხა შემცირებული ამორტიზაციით და გაუფასურების ზარალის თანხით (ზარალის არსებობის შემთხვევაში). არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება მათი სასარგებლო გამოყენების პერიოდის პროპორციულად. ხოლო იმ არამატერიალურ აქტივებს რომელთა სასარგებლო გამოყენების ვადა უცნობია ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით 7 წელზე განაწილებით

შენიშვნა7 - არამატერიალური აქტივები

პროგრამული
უზრუნველყოფა

საწყისი ღირებულება

ბალანსი 31/12/2017 7875

აკუმულირებული ცვლადი (7293)

ბალანსი 31/12/2017 582

დანამატი 17988

შპს პროექტმშენკომპანის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ცვეთა პერიოდისათვის	9649
ბალანსი 31/12/2018	16214
ბალანსი 31/12/2017	582

ბალანსი 31/12/2018	16214
---------------------------	--------------

2.8 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღიარდება როდესაც კრედიტორი შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრებ თავის ვალდებულებებს და თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. ხოლო სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, რაც გაიანგარიშება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

შენიშვნა8 - მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

	31.12.2017	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	3154	3342
მიღებული ავანსები	94700	0
სულ კრედიტორული დავალიანება	97854	3342

2.9 სესხები

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში. სასესხო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება, თუ კომპანიას აქვს უპირობო ვალდებულება გადაიხადოს სესხი საანგარიშო პერიოდიდან არაუგვიანეს 12 თვისა.

2.10 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. მისი ცვლილება ხდება მხოლოდ პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

2.11 ამონაგები

ამონაგები აღიარდება მისაღები თანხების რეალური ღირებულებით და წარმოადგენს საქონლის რეალიზაციის შედეგად მისაღებ თანხებს ფასდაკლებების და დამატებული ღირებულების გადასახადის გაუთვალისწინებლად. კომპანია აღიარებს ამონაგებს იმ შემთხვევაში თუ ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია და მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

მომსახურების რეალიზაცია აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში როდესაც მომსახურება გაიწევა კომპანიის მიერ.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

შენიშვნა 12 -შემოსავალი რეალიზაციიდან

31.12.2018

შემოსავალი საპროექტო მომსახურებიდან

2662802

სულ შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან

2662802

2.13 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება შემდეგი საქონლის რეალიზაციის თვითღირებულებისაგან და იმ ხარჯებისგან რომელიც გაწეულია ამ პროდუქციის და მომსახურების მიწოდებაზე.

შენიშვნა 13 - რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	31.12.2018
ძირითადი და დამხმარე მასალები	20835
მივლინების ხარჯი	24640
შესყიდული მომსახურება	213836
ხელფასის ხარჯი	363896
საკონკურსო და საგარანტიო ხარჯი	17049
სხვა ფ/პ მომსახურების ხარჯი	29577
სხვა ხარჯი	
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	669833

2.14 ხარჯები

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

შენიშვნა 14 - ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები

31.12.2018

შპს პროექტმენეჯმენტის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

რეკლამის ხარჯი	8737
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯი	4299
დაზღვევის ხარჯი	5409
ა/ტექნომოსახურების ხარჯი	10387
საგადასახადო ხარჯი	1827
მ/ს ცვეთის ხარჯი	54962
ხელფასის ხარჯი	457655
იჯარის ხარჯი	33563
საბანკო და საპროცენტო ხარჯი	2741
შესყიდული მომსახურების ხარჯი	5350
საკანცელარიო და საოფისე ინვენტარის ხარჯი	7043
საკონსულტაციო ხარჯი	8400
სხვა საოპერაციო ხარჯი	6295
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	606668

2.15 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი/შემოსავალი მოიცავს მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებას და გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას/აქტივს. მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები წარმოიშობა როდესაც პარტნიორზე მოგების განაწილება ხდება. ასევე მოგების გადასახადით იბეგრება არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები და სხვა ობიექტები, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება მიღებული მოგება დაბეგვრამდე შემცირებული წინა წლების დაგროვილი ზარალით და გამრავლებული მოგების გადასახადის განაკვეთზე.

2.16 დამატებული ღირებულების გადასახადი

შპს პროექტმენეჯმენტის ფინანსური ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ბიუჯეტში გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) წარმოიშობა კომპანიის მიერ საქონლის და მომსახურების მიწოდებისას. ვინაიდან კომპანიას უფლება აქვს ჩასათვლელო დღგ-თი შეამციროს გადასახდელი დღგ-ს თანხა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დღგ-ს გადასახდელი ან ჩასათვლელო თანხა აღირიცხება მათ შორის სხვაობის თანხით.

შენიშვნა 15.16 გადახდილი გადასახადები	31.12.2017	31.12.2018
გადასახადების ერთიანი კოდი	(20202)	37729
სულ გადახდილი გადასახადები	(20202)	37729

2.17 დივიდენდის განაწილება

დივიდენდის განაწილება აღიარდება ვალდებულებად იმ პერიოდში როდესაც პარტნიორის მიერ მიიღება გადაწყვეტილება დივიდენდის განაწილების თაობაზე.

2.18 მსს ფასს პირველადი გამოყენება

კომპანიის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მის პირველ ფინანსურ ანგარიშგებას რომელიც კომპანიის მიერ მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს). შესაბამისად კომპანიის ამ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. კომპანია აღნიშნულ თარიღამდე არ ამზადებდა ფინანსურ ანგარიშგებას.

2.19 ურთიერთდამოკიდებული პირები

კომპანიას გააჩნია ურთიერთდამოკიდებული პირი, რომელთანაც განხორციელებულ ტრანზაქციებს იხილავთ ქვემოთ:

დასახელება	ს/ნ	შენიშვნა
------------	-----	----------

შპს პროექტმშენკომპანის ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფ/პ რაგული რაზმაძე

01026001559

დამფუძნებელი,
დირექტორი

საიჯარო მომსახურების
შეძენა --- 33563 ლარი

შესყიდული
მომსახურების
ანაზღაურება --33563
ლარი

დირექტორი:

რაგული რაზმაძე

მთავარი ბუღალტერი:

ანა პაპაშვილი

20 სექტემბერი, 2019